ანალოგიური ობიერქტები

შპს "ლაინკუბი"

დირექტორი: ლ.აბრამიძე

235

12.10.11

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 18 ოქტომბერი 2011 წ

ერთის მხრივ ბორჯომის მუნიციპალიტეტი, იურიდიული მისამართი: ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი #1, საიდენტიფიკაციო კოდი: 226161961 (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ზურაბ ქურდაძის სახით

და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ლაინეური", ქ. თბილისი, ჩარგლის ქ.#25.ბ.64, საიდენტიფიკაციო კოდი 400018921 (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ლაშა აბრამიძის სახით, შორის:

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა **ფეხით მოსიარულეთა ხიდის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და საავტორო ზედამხედველობის მომსახურებაზე** (CPV-71242000), რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგი თანხით: **22000–00 (ოცდაორი ათასი) ლარი (დღგ–ს გარეშე)** (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება")

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 სექტემბრის #1833 და 13 ოქტომბრის #2012 განკარგულების საფუძველზე "ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურეობას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ბორჯომის ცენტრალური მიმდებარე ტერიტორიაზე ფეხით მოსიარულეთა ხიდის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და საავტორო ზედამხედველობა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 22000–00 (ოცდაორი ათასი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. სტანდარტები

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან;

5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზების მითითებით;

5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5.4. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევის ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

5.5. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მუნიციპალიტეტის ინსპექტორების ჯგუფი.

"შემსყიდველი" "მიმწოდებელი"

6. მომსახურების გაწევის პირობები

6.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღის ვადაში.

6.2. ხელშეკრულების დამდეგ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. „შემსყიდველი" გაწეული მომსახურების მიღებას მოახდენს მიღება- ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7.2 შედგენილი არქიტექტურული პროექტისა და თანმდევი დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის მიწოდება განხორციელდება როგორც ბეჭდური (3 ეგზემპლარი), ასევე ელექტრონული (1 ეგზემპლარი) ფორმით. ამასთან მიმწოდებელმა დამარეგით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 2 მგბ-ს.

7.3 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ფაქტიური დადასტურების შემდეგ.

8. გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

8.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ გაწეული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

8.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ანგარიშსწორება და ვალუტა

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიზნობრივად გამოყოფილი თანხის შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;

9,2. გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ანგარიშსწორებით ლარებში.

9,3 ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

10. ფასები

10.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

13. სუბკონტრაქტორები

13.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის მიერ ყველა მონაცემის მიხედვით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

13.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

"შემსყიდველი" _____ "მიმწოდებელი" _____

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უსაფრთხოების მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის [illegible] მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. მხარეთა უფლება–მოვალეობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია.

15.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

15.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

15.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1. თუ მიმწოდებელი:

ა) არ დაიწყებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას გათვალისწინებულ ვადაში;

ბ) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

გ) სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება. ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

16.2. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

16.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

16.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების [illegible]

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

17.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

17.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

18. დაუძლეველი ძალა

18.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობის მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ.

18.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დროულად, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობის მეორე მხარეს მათი დაბრუნების ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

"შემსყიდველი" _____ "მიმწოდებელი" _____

18.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური [illegible] ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

19.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

20. გამოყენებული სამართალი

20.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

21. ხელშეკრულების ენა

21.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

22. შეტყობინება

22.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

22.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

23. გადასახადები და დაბეგვრა

23.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

24. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

24.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

24.2. ხელშეკრულება შედგენილია ოთხი ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 3 (სამი) პირი შემსყიდველთან.

შემსყიდველი: ბორჯომის მუნიციპალიტეტი	მიმწოდებელი: შ.პ.ს. „ლაინკუბი“
იურიდიული მისამართი: ბორჯომი, რუსთაველის მოედანი #1	იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ჩანგიანის ქ. #25.ბ.64
ფაქტიური მისამართი: ქ. ბორჯომის, რუსთაველის ქ. #81	ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი , მარგიანის ქ. #8
საიდენტიფიკაციო კოდი 226161961	საიდენტიფიკაციო კოდი 400018921
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“"–ს სამცხე–ჯავახეთის რეგიონალური ფილიალი	ბანკი: სს " ბანკი რესპუბლიკა"
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: REPLGE22
საანგარიშსწორებო ანგარიში	საანგარიშსწორებო ანგარიში
N: GE25TB0105833030100001	N: GE74BR00 0001 0397 5576 12

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

---------- / ბ. ქურდაძე /

"შემსყიდველი"----------

დირექტორი

---------- / ლ. აბრამიძე /

"მიმწოდებელი"----------